საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA

100 დღე
DAYS

ერთი გუნდით
ერთი სტრატეგიით
ერთი მიზნისკენ
ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

ONE TEAM
ONE STRATEGY
FOR OUR COMMON GOAL
FOR OUR COUNTRY'S DEFENCE AND SECURITY

ნაწილი პირველი

ინსტიტუციური რეფორმები

სამუშაო ჯგუფი სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების, აშშ-ისა და ნატო-ს ექსპერტების მონაწილეობით.

შერჩევის საბჭოების განახლებული დებულება:

- გაიზარდა და გამარტივდა წვდომა ვაკანსიებსა და სასწავლო პროგრამებზე;
- საბჭოს წევრები შეირჩევა შემთხვევითი შერჩევისა და ანონიმურობის პრინციპების დაცვით;
- გაიმიჯნა საბჭოების მიერ განსახილველი საკითხები და კანდიდატთა შეფასების მეთოდები.

თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია:

- ფუნქციების დუბლირების აღმოფხვრისა და თემატური დაჯგუფების შედეგად განხორციელდა ოპტიმიზაცია;
- შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები (საჯარო ინფორმაციის სამმართველო, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის კოორდინაციისა და მონიტორინგის განყოფილება).

გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს, მართვის ჯგუფისა და მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების დებულება:

- დაიხვეწა გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მისი კოორდინაციისა და აღსრულების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა სამდივნო;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვა სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობა.

უსაფრთხოების ინსტრუქციები

გადაიხედა არსებული და შემუშავდა უსაფრთხოების სავალდებულო ნორმები შემდეგი სწავლებებისთვის:

- საინჟინრო მომზადებაში საამფეთქებლო სამუშაოები;
- საპარაშუტო ხტომები;
- მებრძოლი მყვინთავის მომზადება;
- სამთო მომზადება;
- საზენიტო-სარაკეტო და საზენიტო-საარტილერიო კომპლექსებიდან სროლა.

ჩატარებული სწავლებები და წვრთნები

ადგილობრივი და საერთაშორისო:

- უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „ფარი 2016“;
- სამეთაურო-საშტაბო სწავლება „ქარიშხალი 2016“;
- მრავალეროვნული სწავლება „Agile Spirit 2016“;
- სპეციალური ოპერაციების ძალების სწავლება „ისარი 2016” (ესტონეთი);
- სპეციალური ოპერაციბის ძალების მრავალეროვნული სწავლება „Junction Strike 16“ (რუმინეთი);
- „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“.

ორმხრივი თანამშრომლობა

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) წინამოსამზადებელი ვიზიტები და სამუშაო შეხვედრები:

- აშშ-ის DIB GDRP-I ჯგუფის წარმომადგენელთა, ევროპაში აშშ-ის არმიის სარდლის, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის, თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის სააგენტოსა და აშშ-ის ევროპის სარდლობის წარმომადგენელთა ვიზიტები.

მნიშვნელოვანი ორმხრივი ვიზიტები:

- საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის, ფინეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსისა და თურქეთის რესპუბლიკის სახმელეთო ძალების სარდლის ვიზიტები. შეხვედრა ,,გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიის" მეთაურთან, გენერალ ჯონ ნიკოლსონთან;
- აშშ-ის სამეთაურო და მართვის ხომალდის „USS Mount Whitney" და საფრანგეთის ეროვნული სამხედრო ხომალდის „Premier Maître L'Her" ვიზიტი ბათუმის პორტში.

ნატო და საერთაშორისო მისიები

- ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოში;
- ნატოს შემფასებელთა ჯგუფის ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში;
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP);
- ავღანეთი, ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისია (RSM);
- ევროკავშირის მისიები მალისა და ცენტრალურ აფრიკაში (EUTM Mali და EUMAM RCA);
- გაეროს ეგიდით მიმდინარე ოპერაცია (UNAMA).

მოსამსახურეთა ფინანსური მხარდაჭერა

- ერთჯერადი 1250 ლარიანი დახმარება თავდაცვის სამინისტროს ყველა თანამშრომელს, შვილის შეძენის შემთხვევაში;
- 200 ლარის ოდენობის ყოველთვიური დანამატი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის;
- სამეთაურო რგოლისთვის გაზრდილი სახელფასო ანაზღაურება;
- 55 დაკმაყოფილებული თხოვნა დაფინანსებასთან დაკავშირებით.

საბინაო უზრუნველყოფა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ტრანსპარენტული, სამართლიანი და მიუკერძოებელი შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე გამოვლენილი კანდიდატებისთვის:

- ბინები გადაეცა საბინაო კომისიის მიერ შერჩეულ 90 მოქმედ და ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს და მათ ოჯახებს;
- დაიწყო 243 ოჯახზე გადასაცემი ბინების რემონტი.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- საფუძველი ჩაეყარა JTEC-ის შტაბის შენობის მშენებლობას;
- გარემონტდა ყაზარმები V ქვეით ბრიგადაში, ახალციხის ჯავშან-სატანკო სასწავლო ცენტრსა და ორხევში;
- გარემონტდა და მოეწყო ახალი სველი წერტილები (საშხაპეები, წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო სისტემები);
- განახლდა ,,ორფოლოს" და „ეკის" სასროლეთები;
- სარემონტო სამუშაოები განხორციელდა V ქვეითი ბრიგადის სასადილოში, გამშვებ პუნქტებსა და პერიმეტრზე;
- ახალი მინი სტადიონი მოეწყო „ადლიის" სამხედრო ბაზაზე;
- სენაკში, II ქვეით ბრიგადაში გარემონტდა და ექსპლოატაციაში შევიდა საცურაო აუზი;
- მიმდინარეობს ექსპლოატაციიდან გამოსული სამხედრო ტექნიკისა და ჯართის გატანა სამხედრო ობიექტებიდან.

სამხედრო დისციპლინისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება

- თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობა სახელმწიფო დროშასთან, სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით (დადგენილი წესითა და პერიოდულობით);
- დასრულდა მუშაობა სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსზე;
- 31 აგვისტო - ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე.

ნაწილი მეორე

ძირითადი გამოწვევები

- არასაკმარისისი ფინანსური რესურსები საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად;
- ბიუჯეტის 2/3 (66%) პერსონალის ხარჯებისთვის (ხელფასი, სოციალური დახმარება, დაზღვევა);
- გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატი;
- „პირამიდის პრობლემა“ (პერსონალის არაპროპორციული დაკომპლექტება);
- სტრატეგიული მართვა, ცენტრალიზებული დაგეგმვა და დეცენტრალიზირებული აღსრულება;
- საბრძოლო მზადყოფნა (პერსონალი, აღჭურვილობა, წვრთნა, შენარჩუნება).

რეფორმის მიზანი

- ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ეფექტიანი დაცვა;
- ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფა და შეკავების ხელშეწყობა (შეიარაღებული ძალები უნდა იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი აგრესორისა და ომის პრევენციისთვის);
- დაბალანსებული, მოქნილი, ადაპტირებადი და მდგრადი შეიარაღებული ძალები;
- ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების შექმნა.

ძირითადი პრიორიტეტები

- სტრატეგიული მართვა (უწყებათაშორისი თანამშრომლობა);
- ოპტიმიზაცია;
- საბრძოლო მზადყოფნა;
- ინსტიტუციური რეფორმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- წვევამდელების სისტემა;
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა.

სტრატეგიული მართვა

- ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ეფექტური განხორციელება მთავრობის ერთიანი მიდგომების ფარგლებში;
- მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;
- უწყებათაშორისი სწავლებებისა და წვრთნების („დიდგორი“, „ფარი“) ინსტიტუციონალიზაცია.

ოპტიმიზაცია

გენერალური შტაბი:

- **სტრუქტურული რეორგანიზაცია** (მრჩეველთა ინსტიტუტი, საზღვაო თავდაცვის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტი და სხვა...);
- **დეპარტამენტების და სამმართველოების სტრუქტურული სტანდარტიზაცია.**

ოპტიმიზაცია

სახმელეთო ჯარების სარდლობები:

- 5 - დან 4 სამანევრო ბრიგადიან სტრუქტურაზე გადასვლა;
- დაბალანსებული და სტანდარტული ორგანიზაციის ჩამოყალიბება (ასეული, ბატალიონი, ბრიგადა).

ოპტიმიზაცია

ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა:

- საავიაციო ტექნიკის ოპტიმიზაცია;
- შვეულმფრენების შესაძლებლობების გაუმჯობესება-განვითარება;
- საჰაერო თავდაცვის ბრიგადის შესაძლებლობების გაზრდა;
- უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების შესაძლებლობების განვითარება.

ოპტიმიზაცია

სხვა სტრუქტურული ერთეულები:

- სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამხედრო პოლიციური და საგამოძიებო-ოპერატიული ფუნქციების გამიჯვნა;
- ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სისტემის ტრანსფორმაცია და თვისობრივი გაუმჯობესება;
- თავდაცვის სამინისტროში არსებული სამოქალაქო თანამდებობების რესტრუქტურიზაცია.

ოპტიმიზაცია

საშტატო-წოდებრივი კატეგორიები:

- **266 „პოლკოვნიკის" საშტატო კატეგორიის 100-მდე შემცირება** (ამჟამად 155 მოქმედი პოლკოვნიკი);
- **საშტატო-წოდებრივი „პირამიდის დახვეწა"** (კარიერული განვითარების მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანა).

საბრძოლო მზადყოფნა

პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება:

- სამანევრო - 95%-მდე;
- საბრძოლო-მხარდაჭერის - 90%-მდე;
- საბრძოლო უზრუნველყოფის - 85-90%-მდე.

აღჭურვილობა, შეიარაღება და მისი გამართულობა:

- თავდაცვის ბიუჯეტის არანაკლებ 15%;

საბრძოლო მომზადება:

- ნატოსთან თავსებადობა;
- დოქტრინების გადახედვა.

საბრძოლო მზადყოფნა

საქართველოს მზადყოფნის პროგრამა:

- ქვეითი ბატალიონების გადამზადება, ამოცანაზე ორიენტირებული საწვრთნელი პროგრამის შესაბამისად;
- ქვედანაყოფის მომზადების დონის გათანაბრება ნატოს წევრი ქვეყნების საბრძოლო ქვედანაყოფებთან.

სამხედრო მზადყოფნა

სამხედრო განათლება:

- განათლების თანამედროვე პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

სამხედრო წვრთნები:

- საწვრთნელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- პრიორიტეტი - წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC), სერჟანტთა მომზადების ცენტრი და სამთო მომზადების სკოლა.

შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და შესაძლებლობების განვითარების პრიორიტეტები

- სამანევრო ქვედანაყოფები - ნატოსთან თავსებადი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვა;
- საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდა ფრანგული წარმოების სისტემებით;
- ჯავშანსაწინააღმდეგო და კონტრმობილურობის შესაძლებლობების გაზრდა;
- საცეცხლე მხარდაჭერის სისტემების და საშუალებების განვითარება;
- დაზვერვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

სამხედრო სავალდებულო სამსახური

- **მეტი მომზადებული მოქალაქე რეზერვისთვის;**
- **ხარჯების ეკონომიურობა** (წელიწადში საკონტრაქტო 25000-26000ლ. წელიწადში სავალდებულო 9000ლ.);
- **სავალდებულო სამსახურის გავლის პირობების** გაუმჯობესება (უქმე დღეები, ხელფასი - 50 ლარი);
- **საკონტრაქტო კომპონენტის ეფექტიანი გამოყენება;**
- **საწყისი-საბრძოლო პროგრამის სრულფასოვანი გავლა** (3 თვე).

რეზერვის სისტემა

- **საკონტრაქტო და წვევამდელი;**
- **სამკომპონენტიანი რეზერვის სისტემის ჩამოყალიბება** (არმიის - 50 წლამდე, ტერიტორიული - 55 წლამდე, სპეციალისტების -65 წლამდე).

საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობა

ორმხრივი თანამშრომლობა აშშ-სთან:

- სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება;
- ,,საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის" ორი კომპონენტი - ინსტიტუციური განვითარება და პრაქტიკული სწავლება;
- ორმხრივი სწავლებების ჩატარება.

ნატოსთან თანამშრომლობა:

- გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიის" (RSM) ფარგლებში სწავლებებსა და ოპერაციებში მონაწილეობა;
- ,,ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის" დროული და ეფექტური განხორციელება.

საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობა

თანამშრომლობა ევრო-კავშირთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

- ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება;
- ევროკავშირის მისიები მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებში;
- გაეროს დახმარების მისია ავღანეთში.

საერთაშორისო სწავლებები

- NOBLE PARTNER, AGILE SPIRIT, SEA BREEZE, RAPID TRIDENT, VIKING, ნატო-საქართველოს სწავლება.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020

- ძირითადი სტრატეგიული მიმართულების იმპლემენტაციის ინსტრუმენტული მექანიზმი.